საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1211
29/03/2024

1211-01-2-202403291103

შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184)
დირექტორს ანა სიჭინავას

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე 56-ე ქუჩა N7
მის: ქ.თბილისი, N.

ქალბატონო ანა,

გიგზავნით სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 28 მარტის №04/258 ბრძანებას „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) ჯარიმის დაკისრების შესახებ“.

თქვენთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ბრძანების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

მიმღები ანგარიში/სახაზინო კოდი: 302003551

ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სააგენტოსთვის მოწოდება.

აქვე, დამატებით **განგისაზღვრავთ 5 (ხუთი) სამუშაო დღეს** 2024 წლის 23 იანვრის N02/217 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოსადგენად.

დანართი : „8“ (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
+995 598 05 44 22
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/258
28.03.2024

ბრძანება

258-01-4-202403281418

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) ჯარიმის დაკისრების შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1 სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) მოქალაქე (პ/ნ) 2024 წლის 18 იანვრის №01/311 განცხადების საფუძველზე, შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე „საქმის შესწავლის დაწყების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 22 იანვრის №04/44 ბრძანების თანახმად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.2 საქმის შესწავლის ფარგლებში, კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით რელევანტური გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით, 2024 წლის 23 იანვარს სააგენტომ შპს „დილსი 2020“-ს გაუგზავნა წერილი (სააგენტოში რეგ. №02/217), რომლითაც გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოდგენის ვადად წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე განისაზღვრა. აღნიშნული წერილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს - სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული

მომხმარებლის გვერდის მეშვეობით გაეგზავნა, რომელსაც მოვაჭრე გაეცნო 2024 წლის 3 მარტს, თუმცა, დადგენილ ვადაში მოვაჭრის მხრიდან არ განხორციელებულა შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდება.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის მოვაჭრეს შესაბამის ინფორმაციას და განუსაზღვრავს მას არანაკლებ 5 სამუშაო დღის ვადას მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პოზიციის წარსადგენად.

2.2. კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას) და განსაზღვროს ამ ინფორმაციის მისთვის მიწოდების გონივრული ვადა. სააგენტომ აღნიშნული ინფორმაცია უნდა გამოითხოვოს და შემდგომ უნდა დაამუშაოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების შესაბამისად.

2.3. კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ[1]" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრეს სათანადო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად ჯარიმას აკისრებს.

2.4. კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუქნტის თანახმად, კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში მოვაჭრისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობაა 500 ლარი. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

2.5. პროცედურის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2.6. პროცედურის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს ფიზიკური ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს საქმის შესწავლისათვის საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

2.7. პროცედურის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2.8. პროცედურის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება: ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა; ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება; გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის №02/217 წერილის პასუხად, შპს „დილსი 2020“-ს არ წარმოუდგენია არანაირი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, არ მოუთხოვია ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელება და არ შეუტყობინებია სააგენტოსთვის ინფორმაციის მოუწოდებლობის რაიმე შესაძლო საპატიო მიზეზ(ებ)ის არსებობის თაობაზე.

3.2. შპს „დილსი 2020“ ვალდებული იყო სააგენტოსთვის წარმოედგინა საქმის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა/დაზუსტებისათვის საჭირო და სააგენტოს შესაბამისი წერილებით მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3.3. მოვაჭრის მიერ სააგენტოში არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული განცხადება, ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ.

3.4. კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ[1]" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრეს სათანადო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად ჯარიმას აკისრებს.

3.5. კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუქნტის თანახმად, კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში მოვაჭრისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობაა 500 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" და „ბ[1]" ქვეპუნქტების და 34-ე მუხლის 4[1] პუქნტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს შპს „დილსი 2020"-ის (ს/ნ 442265184) მხრიდან სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ფაქტი;
2. შპს „დილსი 2020"-ს (ს/ნ 442265184) დაეკისროს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
3. შპს „დილსი 2020" (ს/ნ 442265184) ვალდებულია, დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში;
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში თბილისის

საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს გრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/217
23/01/2024

217-01-2-202401230907

შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184)
დირექტორს ანა სიჭინავას

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე 56-ე ქუჩა N7
მის: ქ.თბილისი, N

ქალბატონო ანა,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 22 იანვრის №04/44 ბრძანებით, მოქალაქე 2024 წლის 18 იანვრის №01/311 განცხადების საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:

ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო პროცედურის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
+995 598 05 44 22
info@gcca.gov.ge

მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;
ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;
გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე **5 (ხუთი) სამუშაო დღის** ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთან, ამავე ვადაში, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ შპს „დილსი 2020“-ის (ს/ნ 442265184) სავაჭრო პოლიტიკის შესახებ შემდეგი ინფორმაცია შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით:

- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების წესისა და ფორმის;
- დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში ნივთის უპირობო დაბრუნების;
- ნაკლის მქონე ნივთის შეცვლა/შეკეთება/დაბრუნებასთან დაკავშირებით;
- კანონისმიერი გარანტიის;
- საქონლის მიწოდების ვადის შესახებ;
- კომპანიის მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობების;

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „ბ[1]“ ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და პროცედურის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართის სახით საქმის შესწავლის მასალებს სრულად.

დანართი: „9“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE